საქართველოს
იუსტიციის
სამინისტრო

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა



# საქართველოს იუსტიციის სამინისტრო

ანგარიში 2013

ეროვნული ბიბლიოთეკა

## სასამართლო ხელისუფლების რეფორმა

იუსტიციის სამინისტროს ინიციატივით განხორციელდა მართლმსაჯულების სისტემის რეფორმის პირველი ეტაპი.

- შემოღებულ იქნა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრების არჩევის დემოკრატიული წესები, რომლებიც მოიწონა ვენეციის კომისიამ;
- პარლამენტარები აღარ არიან საბჭოს წევრები, რითაც საბოლოოდ მოხდა ამ ინსტიტუტის დეპოლიტიზაცია;
- საბჭოს მოსამართლე წევრები პირველად იქნენ არჩეულნი დემოკრატიული წესების დაცვით. არამოსამართლე წევრები არჩეულ იქნენ პარლამენტის მიერ სამოქალაქო საზოგადოების, აკადემიური წრეებისა და ადვოკატთა ასოციაციის მიერ დასახელებული კანდიდატებიდან;
- სადისციპლინო კოლეგია გაიმიჯნა საბჭოსაგან და შემუშავდა მექანიზმები მისი მიუკერძოებლობის უზრუნველსაყოფად;
- სასამართლო დარბაზებში დაბრუნდა სატელევიზიო კამერები, რის შედეგადაც სასამართლო პროცესი გახდა გამჭვირვალე და მოექცა საზოგადოებრივი კონტროლის ქვეშ.

ამ ზომებმა ბიძგი მისცა სასამართლო სისტემაში დემოკრატიზაციის პროცესის დაწყებას; შეიქმნა მოსამართლეთა ახალი ასოციაცია; მოსამართლეები აქტიურად ჩაებნენ ქვეყნის წინაშე არსებული საკანონმდებლო გამოწვევების შესახებ დისკუსიებში.

გარდა ამისა, მომზადდა მართლმსაჯულების რეფორმის მეორე ეტაპის საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტი, რომლის შედეგადაც რიგითი მოსამართლე გახდება საკუთარი ხელმძღვანელობისგან მეტად დამოუკიდებელი საქმეების გადაწყვეტისას; სასამართლოებში შესული საქმეები მოსამართლეებზე ავტომატური წესით გადანაწილდება, რაც გამორიცხავს თავმჯდომარის მხრიდან ამ საკითხში ჩარევას; ე.წ. ურჩი მოსამართლეები ველარ იქნებიან მივლინებით გაგზავნილი ხელმძღვანელობის ერთპიროვნული გადაწყვეტილების საფუძველზე, რასაც აქამდე სანქციის სახე ჰქონდა; მოსამართლეები თანამდებობაზე დანიშნულ იქნებიან მხოლოდ კონკურსის საფუძველზე და უვადოდ დაინიშნებიან სამწლიანი გამოსაცდელი ვადის შემდეგ; გამოსაცდელი ვადის განმავლობაში მოსამართლეთა შეფასების სისტემა იქნება მიუკერძოებელი; სასამართლოს თავმჯდომარეებს აირჩევენ თავად სასამართლოს წევრი მოსამართლეები.

## სისხლის სამართლის რეფორმა

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო სათავეში უდგას სისხლის სამართლის რეფორმის უწყებათაშორის საკოორდინაციო საბჭოს. სისხლის სამართლის რეფორმის ძირითადი მიზანია სისხლის სამართლის კანონმდებლობის ლიბერალიზაცია, მოდერნიზაცია და საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა. განხორციელდა შემდეგი ცვლილებები:

- გაუქმდა სასჯელთა უპირობო შეკრებითობის პრინციპი და შემოღებულ იქნა უფრო მკაცრი სასჯელის მიერ ნაკლებად მკაცრის შთანთქმის პრინციპი. თუმცა, მოსამართლეს მიეცა მეტი თავისუფლება სასჯელის შერჩევისას, რაც სასჯელის ინდივიდუალიზაციის ფუძემდებლური პრინციპის დაცვას უწყობს ხელს და, აძლევს რა მოსამართლეს საშუალებას, სასჯელები შეკრიბოს რეციდივის შემთხვევაში, პრიორიტეტს ანიჭებს დანაშაულთან რეალურ ბრძოლას;
- გაფართოვდა ნაფიც მსაჯულთა განსჯადობა. ამიერიდან ნაფიც მსაჯულებს ყოფილი მაღალჩინოსნების საქმეების განხილვაც შეუძლიათ;
- გაფართოვდა დაცვის მხარის უფლებები და მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპებმა რეალური შინაარსი შეიძინა;
- უწყებათაშორისი საბჭოს ფარგლებში, შესაბამის უწყებებთან, საერთაშორისო ორგანიზაციებთან ან/და არასამთავრობო სექტორთან თანამშრომლობისა და ფართო კონსულტაციების შედეგად მომზადდა:
- არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, რომლის მიზანია, ჰუმანური და ლიბერალური გახადოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემა;
- იურიდიული დახმარების ინსტიტუციური რეფორმა;
- საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტის რეფორმა. საპროცესო შეთანხმება აღარ იქნება თანხების ამოღების ინსტიტუტი და ის ეფექტიანი და სამართლიანი მართლმსაჯულების მექანიზმად იქცევა;
- დაზარალებულის უფლებების რეფორმა. დაზარალებულის უფლებები შესაბამისობაში იქნება მოყვანილი სტრასბურგის პრეცედენტული სამართლის პრინციპებთან;
- კანონპროექტი განაჩენის აღსრულების გადავადების ახლებური მექანიზმების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების გაადამიანურებული სისტემა

იუსტიციის სამინისტროს სსიპ „აღსრულების ეროვნული ბიურო" საბოლოოდ გათავისუფლდა პოლიტიკური დაკვეთებისაგან. ბიურო ორიენტირებულია კონსულტაციებისა და მედიაციის გზით მხარეთა მორიგებაზე, რამაც თვალსაჩინო შედეგი გამოიღო - ადამიანებს ეძლევათ შანსი, გონივრული ნაბიჯები გადადგან ვალის დაფარვით გამოწვეული ზიანის მინიმუმამდე დაყვანის მიზნით. 2013 წლის განმავლობაში აღსრულების ეროვნული ბიუროს კონსულტანტებმა 27 465 მოქალაქეს გაუწიეს კონსულტაცია. 2013 წელს აღსრულდა ყველა ის საქმე, რომლებიც წლების განმავლობაში ხელოვნურად ჭიანურდებოდა, მათ შორის, ე.წ. ავიატორებისა (გაიცა წინა წლების დავალიანება 270,545,72 ლარი) და დასხივებული პირების (გაიცა მრავალი წლის დავალიანება 5,327,481 ლარი) საქმეები. აღსრულების ეროვნული ბიურო აქტიურად მუშაობს მართლშეგნების ამაღლებაზე, რისთვისაც დაიგეგმა და განხორციელდა სოციალური კამპანია „აწონ-დაწონე რისკები, დაფიქრდი, სანამ ბინას ჩადებ!"



ეროვნული ბიბლიოთეკა

## ყოფილ პატიმართა რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის პოლიტიკა

2012 წლიდან, იუსტიციის მინისტრის ინიციატივით, მთავრობამ საფუძველი ჩაუყარა რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის პოლიტიკას სასჯელაღსრულების სისტემის გარეთ. იუსტიციის სამინისტროს სსიპ „დანაშაულის პრევენციის და ინოვაციური პროგრამების ცენტრში" შეიქმნა კვალიფიციურ სოციალურ მუშაკთა ჯგუფი, რომლებიც ყოფილ პატიმართა რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის პროგრამის თანამშრომლები არიან. ყოფილ პატიმართა დასახმარებლად შემუშავდა სპეციალური სერვისები, გაიცა რამდენიმე გრანტი (სულ 90 000 ლარი) სამ სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციაზე. 2013 წლის იანვრიდან დღემდე ცენტრის ხელში 600-ზე მეტმა ბენეფიციარმა გაიარა, რომელთაგან 200-ზე მეტი განსაკუთრებით აქტიურია. ბენეფიციართაგან, ცენტრის პროფესიონალების დახმარებისა და უწყებათაშორისი თანამშრობლობის შედეგად, მთლიანობაში 90-მდე პირი დასაქმდა. ფუნქციონირებს პროგრამის ცხელი ხაზი - 2 145 145, რომლის მეშვეობითაც მსჯავრდებულებსა და ყოფილ მსჯავრდებულებს რჩევის მიღება ან/და პროგრამაში ჩართვა შეუძლიათ.

## შრომის კოდექსი

იუსტიციის სამინისტროს ინიციატივით უმნიშვნელოვანესი საბაზისო ცვლილებები შევიდა შრომის კოდექსში, რის შედეგადაც მოხდა დამსაქმებლისა და დასაქმებულის ინტერესების დაბალანსება საკანონმდებლო დონეზე. ამ გზით საქართველოს შრომის კანონმდებლობა საერთაშორისო სტანდარტებს დაუახლოვდა. გარდა ამისა, შრომით ურთიერთობებში ქალთა უფლებების დაცვის მიზნით მომზადდა საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტი.

## უსაფრთხო დოკუმენტები - სახელმწიფო პრიორიტეტი

იუსტიციის სამინისტროს როლი წარმმართველია ვიზალიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის წარმატებით შესრულებაში, რომელიც საბოლოოდ ევროკავშირთან უვიზო მიმოსვლის დაწესებას გულისხმობს. იუსტიციის სამინისტროს სსიპ „სერვისების განვითარების სააგენტოს" ძალისხმევით უზრუნველყოფილია მიგრაციის სამთავრობო კომისიის მუშაობა, შესაბამისი კანონმდებლობის, მათ შორის, მოქალაქეობის შესახებ ახალი კანონის, შემუშავება; დოკუმენტების უსაფრთხოებისა და საზღვრის ინტეგრირებული მართვის საკანონმდებლო და პოლიტიკური საფუძვლების (ბიომეტრიის ჩათვლით) ჩამოყალიბება; მოქალაქეთა რეგისტრაციის პროცესის ერთიანობა და უსაფრთხოება, საქართველოს მოქალაქეების გაერთიანებულ და უსაფრთხო ელექტრონულ ბაზაში რეგისტრაცია, რაც ევროკომისიის ექსპერტების მიერ შეფასდა როგორც სავიზო ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის პირველი ეტაპის შესრულებაში მთამბეჭდავი წინსვლა.

## ინტეგრაცია ევროკავშირთან

იუსტიციის სამინისტრო აქტიურად იყო ჩართული ევროკავშირთან ინტეგრაციის ორივე ინსტრუმენტის - ასოცირების შეთანხმების და ვიზალიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის, რეალიზების კუთხით, რამაც ხელი შეუწყო და შესაძლებელი გახადა ვილნიუსის სამიტზე ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების პარაფირება. სამინისტრომ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ასოცირების მოლაპარაკებებში მართლმსაჯულების, თავისუფლებისა და უსაფრთხოების, ღრმა და თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების (DCFTA), ასევე, მოლაპარაკებებში ჩართულ სხვა სამინისტროებსა და უწყებებთან ერთად სხვა თემატურ საკითხებზე შეთანხმების მიღწევაში. ამასთან, სამინისტრომ ჩაატარა ასოცირების შეთანხმების ე.წ. სამართლებრივი შესაბამისობის (legal scrubbing) ანალიზი და წინმსწრებად დაიწყო ასოცირების შეთანხმებით გათვალისწინებული ევროკავშირის სამართლის ნორმებთან ჩვენი სამართლებრივი სისტემის ჰარმონიზების პროცესი.



ეროვნული ბიბლიოთეკა

## პროკურატურის ინსტიტუციური გარდაქმნა

იუსტიციის მინისტრის აქტიური მონაწილეობით მოხდა პროკურატურის დეპოლიტიზაცია, იუსტიციის მინისტრი აღარ არის ამავე დროს საპროკურორო უფლებამოსილებით აღჭურვილი პირი. იუსტიციის სამინისტროს სისტემაში მთავარი პროკურატურა ჩამოყალიბდა დამოუკიდებელ ორგანოდ.

## უფრო მეტად სამართლიანი კერძოსამართლებრივი ურთიერთობები

იუსტიციის სამინისტროს ინიციატივით გადაისინჯა იპოთეკურ სესხებთან დაკავშირებული წესები. კანონში ჩაიდო უფრო სამართლიანი მექანიზმები როგორც გარიგების დადების მომენტისათვის, ისე აღსრულების პროცესის ეტაპისათვის. ამიერიდან მატერიალურად შეჭირვებული მოქალაქე მეტად იქნება დაცული ე.წ. ჩასაფრებული კერძო იპოთეკარისგან.

## კვალიფიციური და დეპოლიტიზებული ნოტარიუსები

იუსტიციის მინისტრის წლევანდელი პრიორიტეტი უნოტარიუსოდ დარჩენილი საქართველოს რაიონებისათვის კვალიფიციური ახალგაზრდა ნოტარიუსების მოძიება და მათი იქ განწესება იყო. 2013 წლის განმავლობაში ნოტარიუსი გაჩნდა ამგვარ არაერთ რაიონში - თერჯოლა, წყალტუბო, ლენტეხი, ცაგერი, ოზურგეთი, ქარელი და თიანეთი. სხვადასხვა რაიონში კი დაემატა თითო ახალი ნოტარიუსი მომავალში სანოტარო მომსახურების წყვეტის თავიდან აცილების მიზნით - საგარეჯო, ლაგოდეხი, თელავი, მარნეული, ბოლნისი, ზუგდიდი და სენაკი. მინისტრის ბრძანებით გაიწერა სანოტარო მედიაციის წესები, რათა მოქალაქეებს შეეძლოთ, მარტივი საყოფაცხოვრებო პრობლემები ნოტარიუსის მეშვეობით მოაგვარონ და ამით თავი აარიდონ სასამართლო დავას. აქტიურად მიმდინარეობს ამ მხრივ ნოტარიუსების გადამზადების პროცესი. ამასთან, საანგარიშო პერიოდში რამდენიმე ნოტარიუსი, სერიოზული დარღვევების გამო, თანამდებობიდან გათავისუფლდა. რამდენიმე ნოტარიუსს დისციპლინური სახდელი დაეკისრა. ერთი მხრივ, იუსტიციის სამინისტრო ნოტარიუსთა საქმიანობის ინტენსიურ შემოწმებას ახორციელებს, ხოლო მეორე მხრივ, კომპეტენტურ ნოტარიუსთა უმრავლესობასთან ერთად მუშაობს ლათინური ნოტარიატის პრინციპების დამკვიდრებისთვის, ნოტარიატის რეფორმისა და სანოტარო საქმიანობის მნიშვნელოვანი როლის წინ წამოწევისთვის.

## მრავალეტაპიანი სამუშაო მიწის საკითხების მოგვარებისკენ

საქართველოს პარლამენტთან ერთად, იუსტიციის სამინისტრო და მისი სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო" კოორდინაციას უწევენ მიწის მართვისა და განვითარების უწყებათაშორის საბჭოს. საბჭოს მიზანია, შეიმუშაოს მიწის საკითხებთან დაკავშირებული საკანონმდებლო ცვლილებები, რამაც საბოლოოდ საქართველოში მიწის კოდექსის შემუშავებამდე უნდა მიგვიყვანოს. მოცემული საბჭო უწყებათაშორისი თანამშრომლობის ერთ-ერთი საუკეთესო მაგალითია. ამასთან, იუსტიციის სამინისტროს სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო" ეტაპობრივად ახორციელებს მასშტაბურ რეფორმას როგორც უძრავ ქონებაზე უფლებების არქივირების, შესაბამისი ელექტრონული ბაზების შექმნის, ყოფილი ტექბიუროს არქივების მოვლა-პატრონობისა და დიგიტალიზაციის, ისე საკუთრების რეგისტრაციების ერთიანი სისტემის შექმნისა და დახვეწის გზით. 2013 წლიდან გატარებულმა საკანონმდებლო თუ ადმინისტრაციულმა ზომებმა საბოლოოდ უნდა უზრუნველყოს ქვეყანაში საკუთრების უფლების დაცვის მყარი გარანტიების შექმნა და, სხვა უწყებებთან ერთად განგრძობადი თანამშრომლობის პირობებში, საფუძველი უნდა ჩაუყაროს მცირემიწიან ქვეყანაში მიწის, როგორც ძვირფასი რესურსის, დაცვის, სწორი გამოყენებისა და განვითარების გრძელვადიან პოლიტიკას. პარალელურად, იუსტიციის მინისტრის დავალებით, საჯარო რეესტრმა ოქტომბერში დაიწყო საოკუპაციო ზოლის სოფლებში მავთულხლართების აქეთ დარჩენილი მიწების რეგისტრაციის რთული პროცესი, შეძენილ იქნა ორთოფოტოები, ჩატარდა მნიშვნელოვანი სამუშაო უფლებათა არქივირების კუთხით, რაც წლის ბოლომდე სოფლებში - დიცსა და დვანში, ხელშესახებ შედეგებს მოგვცემს. ეს სამუშაო 2014 წელსაც უნდა გაგრძელდეს და დანარჩენი სოფლები მოიცვას.



ეროვნული ბიბლიოთეკა

## matsne.gov.ge - უფასო კანონები; სამენოვანი ვებგვერდი და აღდგენილი სტამბა

2013 წლის იანვარში, იუსტიციის მინისტრის ბრძანებით, სსიპ „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს" ვებგვერდზე გამოქვეყნებული კანონების კოდიფიცირებულ ვერსიაზე წვდომა გახდა უფასო. ამ გადაწყვეტილებამ უწყებას ნახევარი მილიონი ლარის საკუთარი შემოსავალი დააკარგვინა. სამაგიეროდ, ხელმისაწვდომი გახდა კანონი ყველასთვის, რაც დემოკრატიულ საზოგადოებაში აუცილებელია. მაისიდან „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში" ფუნქციონირება დაიწყო მთარგმნელობითმა ცენტრმა, რომელიც თარგმნის ქართულ კანონმდებლობას ინგლისურად, ხოლო ევროკავშირის დირექტივებს - ქართულ ენაზე. „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს" ვებგვერდი გახდა სამენოვანი (ქართული, ინგლისური, რუსული). ივნისიდან მის ვებგვერდზე განთავსებული ნორმატიული აქტების ბაზა უკვე ხელმისაწვდომია offline რეჟიმში, ანუ ინტერნეტთან კავშირის გარეშე, რაც ადვოკატებისა და სხვა სფეროში მომუშავე იურისტებისათვის ძალზედ სასარგებლო სამუშაო ინსტრუმენტია. ივლისიდან „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში", რომელიც მანამდე მხოლოდ ელექტრონული სახით ფუნქციონირებდა, აღდგა წლების წინ განადგურებული სტამბა და განახლდა საგამომცემლო საქმიანობა.

## თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების ხელშეწყობა

იუსტიციის მინისტრმა უხელმძღვანელა თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისათვის უწყებათაშორის კომისიას, რომელიც საპრეზიდენტო კამპანიისა და არჩევნების თავისუფალ გარემოში ჩატარებას უწყობდა ხელს. ცენტრალურ საარჩევნო კომისიასთან ერთად, უწყებათაშორისმა კომისიამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა საქართველოში საპრეზიდენტო უფლებამოსილების პირველი მშვიდობიანი გადაბარების პროცესში. ამასთან, იუსტიციის სამინისტროს სსიპ „სერვისების განვითარების სააგენტო" საარჩევნო სიების დაზუსტებაზე აქტიურად მუშაობს. საპრეზიდენტო არჩევნების მიზნით მნიშვნელოვნად დაიხვეწა მონაცემთა ბაზები, რომელთა საფუძველზეც ერთიანი საარჩევნო სიის ფორმირება მოხდა.

## ანტიდისკრიმინაციული კანონი

ევროკავშირთან უვიზო რეჟიმის დაწესებისა და შესაბამისი ვიზალიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის ფარგლებში, იუსტიციის სამინისტრომ შეიმუშავა და მთავრობას წარუდგინა ანტიდისკრიმინაციული კანონის პროექტი, რომელიც საქართველოში ყველა ნიშნით, მათ შორის, ერთდროულად მრავალი ნიშნით, დისკრიმინაციის აღმოფხვრას ისახავს მიზნად.

## ჟენევის მოლაპარაკებები

იუსტიციის სამინისტრო ჩართულია მოლაპარაკების ყველა რაუნდში, რომლებიც 2012 წლის ოქტომბრიდან გაიმართა. იუსტიციის სამინისტრო თანამომლაპარაკებლის სტატუსით, საგარეო საქმეთა სამინისტროსა და შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის სახელმწიფო მინისტრთან ერთად, საერთაშორისო სამართლებრივ კონსულტაციას უწევს მომლაპარაკებელთა ჯგუფს. იუსტიციის სამინისტროს წარმომადგენელი, რომელიც მინისტრის მოადგილეა, მონაწილეობდა მეორე სამუშაო ჯგუფის (ჰუმანიტარული და ადამიანის უფლებები) მუშაობაში, ძალის არგამოყენების შესახებ საკითხების დამუშავებაში. ჟენევის ფორმატში პრიორიტეტია საოკუპაციო ხაზის გასწვრივ მცხოვრები მოსახლეობის უფლებების დაცვა. სამინისტროს ძალისხმევის შედეგად, 6 ნოემბერს მეორე სამუშაო ჯგუფში დაიწყო საუბარი იძულებით გადაადგილებული პირების საკითხზე. ასევე, მნიშვნელოვანია იუსტიციის სამინისტროს წარმომადგენლის მიერ გაეროს ადამიანის უფლებათა ტექნიკური მისიის მოწვევა, რაც აუცილებელია კონფლიქტურ და მიმდებარე რეგიონებში ადამიანის უფლებების დარღვევების შეფასებისა და მათზე რეაგირებისათვის.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ეროვნული ბიბლიოთეკა

## იუსტიციის სასწავლო ცენტრი

სექტემბრიდან ყვარლის იუსტიციის სასწავლო ცენტრმა ლამაზი ფასადის მიღმა შინაარსიც შეიძინა და სრული დატვირთვით ამუშავდა. ყვარლის სასწავლო ცენტრთან, რომელიც პომპეზურად გაიხსნა გასულ წელს, მრავალი პრობლემა იყო დაკავშირებული - გაუმართავი და დაუსრულებელი შენობა, მართვაში გადაცემის პრობლემები და სხვ. დღეისათვის ცენტრში დასრულებულია ყველა სამუშაო. ცენტრის მართვას ახორციელებენ ადგილობრივი კადრები, რომლებიც კონკურსის წესით შეირჩნენ. ყვარლის ეს ფილიალი ტრენინგებს და სემინარებს, ასევე, სხვადასხვა ტიპის სამუშაო შეხვედრებს მთელი წლის განმავლობაში უმასპინძლებს.

## ახალი იუსტიციის სახლები ნაკლები დანახარჯით

იუსტიციის სამინისტრო აგრძელებს სსიპ „იუსტიციის სახლის“ ხელშეწყობას, რომელიც 2013 წლის თებერვლიდან დაკომპლექტდა საკუთარი კადრებით და ამუშავდა მთელი სისრულით. მომსახურების ერთი ფანჯრის პრინციპის დანერგვა და განვითარება გრძელდება. დაგეგმილია მოსახლეობისათვის ხარისხიანი სახელმწიფო სერვისების ახალ, კეთილმოწყობილ და კომფორტულ იუსტიციის სახლებში შეთავაზება, რომლებიც ნაკლები დანახარჯებით იუსტიციის სამინისტროს სსიპ-ების საკუთარი შემოსავლების წყალობით უნდა აშენდეს. სსიპ „იუსტიციის სახლი“ ჩართულია ისეთ აქციებში, რომლებიც საარჩევნო სიის დაზუსტებას ემსახურება. აქცია - „უფასო პირადობის მოწმობა სრულწლოვან დევნილებს“ - უკვე დასრულდა, რომლითაც 65 ათასმა დევნილმა ისარგებლა. საარჩევნო სიის დაზუსტებისთვის საჭირო ღონისძიებების ფარგლებში, 8 000 უფასო პირადობის მოწმობა გადაეცათ რეგისტრაციიდან მოხსნილ პირებსაც. წლის ბოლოს დაიწყო საახალწლო აქცია - „უფასო პირადობის მოწმობა პედაგოგებისათვის“.

## ეროვნული არქივის მოვლა-პატრონობა და განვითარება

თბილისში მდებარე სამ ცენტრალურ - უახლესი ისტორიის, საისტორიო და კინო-ფოტო-ფონოდოკუმენტების - არქივში 30-წლიანი პაუზის შემდეგ აღდგა კლიმატკონტროლი და გაუმჯობესდა დოკუმენტების დაცვის პირობები. აღდგა ოზურგეთისა და მესტიის არქივები. 17 რაიონში გაიხსნა ეროვნული არქივის ადგილობრივი წარმომადგენლობა, რითაც გაუმჯობესდა ადგილზე სერვისების მიწოდება.

მოხდა დოკუმენტების დიგიტალიზაცია და ელექტრონული კატალოგების შექმნა, რითაც საარქივო დოკუმენტებზე წვდომა გაადვილდა, ხოლო დედნების დაცვის ხარისხი გაიზარდა.



ეროვნული ბიბლიოთეკა

## ღია მმართველობის პარტნიორობა და ახალი ტექნოლოგიები

იუსტიციის სამინისტრო ხელმძღვანელობს კორუფციასთან ბრძოლის უწყებათაშორის საკოორდინაციო საბჭოს, რომლის ფარგლებშიც შემუშავდა და მთავრობის მიერ დამტკიცებულ იქნა მთავრობის ღიაობასა და ინფორმაციის თავისუფლებასთან დაკავშირებული რეგულაციები. 2013 წლიდან საქართველოს მოქალაქეებს შეუძლიათ, ნებისმიერი საჯარო ინფორმაცია ელექტრონულად გამოითხოვონ, რისთვისაც იუსტიციის სამინისტროს სსიპ „მონაცემთა გაცვლის სააგენტოს" მიერ შექმნილ იქნა მოქალაქის პორტალი my.gov.ge. აგრეთვე, 2013 წლიდან სახელმწიფო ორგანიზაციები საჯარო ინფორმაციას პროაქტიულად აქვეყნებენ. ღია მმართველობა არ არსებობს ახალი ტექნოლოგიებისა და მათი უწყვეტი განვითარების გარეშე. ამ სფეროში იუსტიციის სამინისტროს ერთ-ერთი წამყვანი როლი აქვს. სამინისტროს 4 სსიპ - „მონაცემთა გაცვლის სააგენტო", „სმართ-ლოჯიქი", „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო" და „სერვისების განვითარების სააგენტო" - ამ მხრივ ერთ-ერთი ყველაზე დაწინაურებული ორგანიზაციაა და ქვეყნის თანამედროვე მომავლის შექმნაში მონაწილეობს.



ი 3/834

РХ 4582/1

ეროვნული ბიბლიოთეკა

www.justice.gov.ge